საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში) სახელმწიფო რწმუნებულთან არსებული სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომის

ოქმი № 1

ქ. ზუგდიდი 13 თებერვალი 2019 წ.

რეგისტრაციის გავლის მიხედვით სხდომას ესწრებოდა საბჭოს 29 წევრიდან 18 წევრი. სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ალექსანდრე მოწერელია** - სახელმწიფო რწმუნებული.
2. **ლევან მაკალათია** -აბაშის მუნიციპალიტეტის მერი.
3. **მამუკა კვიტაშვილი** - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
4. **გელა ხოშტაია** - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
5. **თაზო ფაცაცია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
6. **ალექსანდრე გრიგალავა** - მარტვილის მუნიციპალიტეტის მერი.
7. **კაპიტონ ჟორჟოლიანი** - მესტიის მუნიციპალიტეტის მერი.
8. **ლევან კუპრეიშვილი** - სენაკის მუნიციპალიტეტის მერი.
9. **კახაბერ რუსია** - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
10. **ბადრი კალანდარიშვილი** - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
11. **დათო გოგუა** - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერი.
12. **ბესიკ ესებუა** - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
13. **კობა ჯიქია** - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
14. **ბესიკ ფარცვანია** - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერი.
15. **თემურ ღვინჯილია** - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
16. **გოჩა ქაჯაია** - ხობის მუნიციპალიტეტის მერი.
17. **მამუკა ქარდავა** - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.
18. **გოჩა კურდღელია** - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი.

სხდომის მუშაობას ესწრებოდნენ:

1. **მაკა ფიფია** - სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში (სხდომის მდივანი).
2. **ნინო ვიბლიანი** - სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე.
3. **იასონ შეროზია** - სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსის მოადგილე.
4. **აკაკი სარალიძე** - სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის უფროსის მოადგილე.

5. **ირაკლი ცანავა** - სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.
6. **პაატა ლაგვილავა** - დამხმარე მოსამსახურე - სახელმწიფო რწმუნებულის მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში კონსულტანტი.
7. **მერი შეგელაია** - ამხმარე მოსამსახურე - სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ოფიციალური ვებ-გვერდის ადმინისტრატორი.

სახელმწიფო რწმუნებულმა სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის

დღის წესრიგი:

1. 2014 – 2021 წლების სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიაში ცვლილებების შეტანის მიზნით კორექტირებული 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმის განხილვისა და მოწონების თაობაზე.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ გამოთქმულა, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარის ინფორმაცია, რომელმაც განმარტა, რომ რეგიონის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ მომზადებულ იქნა 2014-2021 წლების სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიაში ცვლილების შეტანის მიზნით კორექტირებული 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმის (2019 წლის) პროექტი, რომელსაც განსახილველად წარმოგვიდგენს სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსის მოადგილე იასონ შეროზია.

იასონ შეროზიამ აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმაში ცვლილების განხორციელება ძირითადად გამოწვეულია მუნიციპალიტეტების მუშაობის პროცესში გამოვლენილი ახალი პრიორიტეტული მიმართულებებით, რამაც გამოიწვია დამტკიცებულ სტრატეგიაში (სამოქმედო გეგმა 2018-2021 წლებისთვის) დამატებით ახალი პროექტების ასახვა და არსებული პროექტების კორექტირება.

აბაშის,ზუგდიდის, მარტვილის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტების საჭიროებებიდან გამომდინარე იასონ შეროზიამ საკონსულტაციო საბჭოს წარუდგინა დარგობრივი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული სამეგრელო-ზემო სვანეთის

რეგიონის განვითარების სტრატეგიის განახლებული სამოქმედო გეგმის პროექტის ერთიანი ცხრილი (დანართი № 1).

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს განიხილონ წარმოდგენილი პროექტი/წინადადებები და გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები.

საბჭოს წევრების მიერ განხილულ იქნა პროექტი/წინადადება და შენიშვნები არ გამოთქმულა.

საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს 2014-2021 წლების სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმა (თან ერთვის ელ.ვერსია CD დისკი სახით).
2. 2014-2021 წლების სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმა განსახილველად წარედგინოს საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიას.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შედეგად სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გამოაცხადა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე /ა. მოწერელია/

სხდომის მდივანი /მ. ფიფია/